

ნაწილი

საქართველოს კანონი „გეოდეზიური და კარტოგრაფიული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „გეოდეზიური და კარტოგრაფიული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონში (პარლამენტის უწყებანი 19-20, 30.05.1998) შეტანილი იქნას შემდეგი ცვლილებები:

1. კანონის მე-10¹ მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„მუხლი 10¹. გეოდეზიური მონაცემებისა და კარტოგრაფიული პროდუქციის გეოინფორმაციული ფონდი და მისი მართვა

1. ფიზიკური და იურიდიული პირების მოთხოვნათა უზრუნველსაყოფად იქმნება გეოდეზიური მონაცემებისა და კარტოგრაფიული პროდუქციის გეოინფორმაციული ფონდი, რომელსაც განკარგავს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – გარემოს ეროვნული სააგენტო.

2. გეოდეზიური მონაცემებისა და კარტოგრაფიული პროდუქციის გეოინფორმაციული ფონდი იქმნება „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

3. გეოდეზიური მონაცემებისა და კარტოგრაფიული პროდუქციის გეოინფორმაციულ ფონდში არსებული მონაცემებისა და მასალების საფასური განისაზღვრება „გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისათვის დაწესებული საფასურის შესახებ“ საქართველოს კანონით.

4. საფასური ჩაირიცხება გარემოს ეროვნული სააგენტოს ანგარიშზე და მთლიანად მოხმარდება სააგენტოს მიზნებისა და ფუნქციების განხორციელებას. აღნიშნული სახსრების სხვა მიზნით გამოყენება აკრძალულია.“

2. კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტი „ა“ პუნქტის სახით შემდეგი რედაქციით:

„ა) საქართველოს კანონი „გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურების საფასურის შესახებ;“

3. კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ამ კანონის მე-10¹ მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტები ამოქმედდეს „გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურების საფასურის შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედებისთანავე“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2008 წლის პირველი იანვრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი